




Грузинскіи архитектурныи орнамент



Текст, подбор
материалов и рисунки
Рене Шмерлинг
Таблицы составил
А.Кравченко

Государственное Издательство

Тбилиси



1 9 5 4

ქართული
სურთმძღვრული
ორნამენტები



ტექსტი, მასალის
შერჩევა და ნახატები
რენე შმერლინგისა
ცახულები შეადგინა
ა. კრავჩენკომ



სახელმწიფო გამომცემლობა

თბილისი



1 9 5 4

წიგნის ტიპოგრაფია

ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური არქიტექტურის პრობლემის გადაწყვეტისას, ჩვეულებრივ მიმართავენ არქიტექტურული ორნამენტის უმდიდრეს მემკვიდრეობას, რომელიც ამშვენებს ხალხური ხუროთმოძღვრების მრავალრიცხოვან ძეგლებს.

უდავოა, რომ ფართო არქიტექტურული საზოგადოებრიობის მიერ ჩვენი უმდიდრესი საგანძურის — ქვაზე ნაკვეთი ქართული ჩუქურთმის — გაცნობა გაამდიდრებს არქიტექტორის პალიტრას, გააფართოებს მისი შემოქმედებითი ძიების არეს. ამ მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა არქიტექტურულ საქმეთა სამმართველომ გამოსაცემად მოამზადა ქართული ორნამენტის ნიმუშების სერია.

პირველი ნაკვეთი გამოცემისათვის მოამზადა სამმართველოს სამხატვრო მრეწველობის განყოფილებამ. ტექსტი დაწერა და გრაფიკული მასალა შეასრულა ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა, სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა, რ. შმერლინგმა. ნაკვეთი შეიცავს ქვაზე ამოკვეთილ ორნამენტის სამოცდაათ ტაბულას (აქედან ცხრა ნატურიდან გადაღებული ფოტოსურათების მიხედვითაა გაკეთებული) ორნამენტები შერჩეულია იმ ვარაუდით, რომ პირველ ნაკვეთში, უმარტივეს და ურთულეს კომპოზიციათა ყველაზე უფრო მრავალფეროვანი მოტივების ჩვენებით, ნათელი გახდეს ქართული ორნამენტული ხელოვნების განვითარების რთული, მრავალსაუკუნოვანი გზა.

ორნამენტების მოტივები განლაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

ცხადია, ამ ალბომის გამოცემა მიზნად არ ისახავს მისცეს არქიტექტორს ორნამენტული მოკაზმულობის მზა ნიმუშები, რომლებიც მექანიკურად იქნებოდა გადატანილი ალბომიდან ასაგებ შენობაზე. ძველი საქართველოს ხუროთმოძღვართა ოსტატობის ფართო დიაპაზონის გაცნობამ მხოლოდ ხელი უნდა შეუწყოს თანამედროვე ორნამენტის შექმნას, ორნამენტისა, რომელიც მოწოდებულია შეამკოს სოციალისტური საქართველოს მშენებელი ნაგებობანი.

ვიმედოვნებთ, რომ ალბომი სასარგებლო იქნება ქართული სახვითი ხელოვნების სხვა დარგის მუშაკთათვისაც და, აგრეთვე, მოკლებული არ იქნება მეცნიერულ ინტერესს.

ა. ძუბალიანი

სსრ არქიტექტურული აკადემიის ნამდვილი წევრი

ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი

მოთხოვნილება, რომელიც დღეს წაყენებული აქვს ხელოვნების ნაწარმოებს — იყოს შინაარსით სოციალისტური, ფორმით ნაციონალური — განაპირობებს მხატვრის მიერ წარსულის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ყოველმხრივ და ღრმა გაცნობას.

ქართული არქიტექტურული ორნამენტის სწორი გამოყენებისათვის საჭიროა, ერთი მხრივ, ვიცნობდეთ შენობის ფასადებზე ან ინტერიერში კვეთილი ორნამენტის გამოყენების ხერხებს, — წარმოდგენა გვქონდეს, ცალკეული ქრონოლოგიური ეტაპების შესაბამისად, შენობის მასებთან ორნამენტის შერწყმის სხვადასხვა ხერხზე, — ხოლო მეორე მხრივ, თავისუფლად ვერკვეოდეთ ორნამენტის სქემებისა და სახეების მდიდარ მრავალფეროვნებაში.

ჩუქურთმა, რომლის დანიშნულებაცაა შეამკოს შენობის ფასადი, მკაფიოდ გამოხატოს კედლის სიბრტყის დანაწევრება ან, პირიქით, უფრო თვალსაჩინოდ გამოხატოს კედლის სიბრტყის ერთიანობა, — ქართულ ხუროთმოძღვრებაში უძველესი დროიდან შენობის მხატვრული კონცეფციის არსებით ელემენტს შეადგენდა. იგი მუშავდებოდა საუკუნეთა მანძილზე და ჩვენს დროშიც არ დაუკარგავს მხატვრული შემოქმედების ქმედითი ელემენტის მნიშვნელობა. არ დაუკარგავს მნიშვნელობა აგრეთვე ორნამენტის გამოყენებას შენობის ინტერიერში, რაც ცალკეულ ისტორიულ ეპოქებში მეტყველ მხატვრულ ხერხს წარმოადგენდა.

წინამდებარე ალბომს, რომელიც ქართული არქიტექტურული ჩუქურთმების გრაფიკულად, კალმით, შესრულებულ ნახატთა გამოცემის პირველ ნაკვეთს წარმოადგენს, ცხადია, შეუძლია სამსახური გაუწიოს დაინტერესებულ პირთ მხოლოდ ორნამენტის სქემებისა და სახეების მდიდარ მრავალფეროვნებაში გასარკვევად. ორნამენტები ტაბულელებში განლაგებულია ცალკეულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა მიხედვით, ტაბულეების თანმიმდევრობა კი (მათი ნუმერაცია) ალბომში მოცემულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ამრიგად, პირველი ტაბულეები მიძღვნილი აქვს ადრინდელი ხანის, ე. ი. V—VII ს. ს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების ორნამენტებს (ბოლნისის სიონი, ჯვარის მცირე ეკლესია მცხეთაში, ს. ოლთისის და თეთრი წყაროს ეკლესიები თრიალეთში, დასასრულ, მცხეთის ჯვარისა და წრომის ტაძრები).

ერთგვარი ხარვეზი, რომელიც საქართველოში არაბთა ბატონობის ხანას ემთხვევა, მხოლოდ პირველ ხანებში იყო გამოწვეული მშენებლობის დროებითი შეწყვეტით. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის ამ მეტად საინტერესო პერიოდში, როცა წარმოებს ახალი თემების, ფორმებისა და მოტივების დაძაბული ძიება, მოჩუქურთმებას, როგორც ჩანს, დიდი ყურადღება არ ექცეოდა. ეს გამოწვეული იყო არა მარტო შემოქმედებითი მოღვაწეობის ზემოთ აღნიშნული საერთო მიმართულებით — ხუროთმოძღვრების ძირითადი, წამყვანი

ამოცანების გადაწყვეტისადმი განსაკუთრებული ყურადღებით, — არამედ საშენი მასალის ხარისხითაც, რაც ეკონომიური მდგომარეობით იყო შეპირობებული.

X საუკუნე — საქართველოს ცალკეულ სამთავროთა განმტკიცებისა და გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს შექმნისთვის ბრძოლის საუკუნე იყო, ხანა მნიშვნელოვანი აღმავლობისა კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. ეს საუკუნე ახალ ეტაპს წარმოადგენს შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაშიც. კონსტრუქციული ხასიათის ძიებანი აღარ იზიდავს ხუროთმოძღვარს. ეპოქის ამოცანას შეადგენს შენობის გრანდიოზულობისა და სიდიადის შთაბეჭდილების შექმნა; შენობის როგორც ფასადებზე, ისე ინტერიერში დეკორატიული სამკაულის სიმდიდრე გამოწვეულია ახალი მოთხოვნილებით, რომელიც წარედგინა ხუროთმოძღვრების ნაწარმოებთ, — სახელდობრ, მთლიანობის მკაფიო ცხოველხატულობის მოთხოვნილებით. წინამდებარე ალბომში შეძლებისდაგვარად ასახულია ამ ხანის ორნამენტის სიმდიდრე, მრავალფეროვნება და ორიგინალობა როგორც იმ ძეგლების მაგალითზე, რომელთა ადგილიც ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში მხოლოდ ბოლო დროს გაირკვა (ზღუდერი, ზემო-სკრა, შეპიაკი, ვალე), ისე ხუროთმოძღვრების იმ ბრწყინვალე ნაწარმოებთა მაგალითზე, რომლებმაც განსაზღვრეს იმდროინდელი ქართული ორნამენტის გზები (კუმურდო, ოშკი) — და შემდეგ, XI ს. მანძილზე, განაგრძობდნენ და ავითარებდნენ წინა საუკუნის განწყობასა და მიღწევებს (ბაგრატის ტაძარი ქ. ქუთაისში, ბედიის ტაძარი, სვეტიცხოველი, სამთავისი, კაცხი, იკვი, ფოკა და სხვ.).

ალბომის რამდენიმე ტაბულაში ადგილი დაეთმო „რუსთაველის ეპოქის“, ე. ი. XII ს. დამლევისა და XIII საუკუნის, ცალკეულ დათარიღებულ ძეგლებს (იკორთა, ღმანისი) და აგრეთვე იმ ძეგლებს, რომლებიც შეიძლება დათარიღებულად ჩაითვალოს (ქვათახევი, ახტალა). ეს ძეგლები გამოირჩევიან შენობის ფასადების ორნამენტული დეკორის ქარბი სიმდიდრით, მაგრამ ჩამორჩებიან XI საუკუნის ძეგლებს ორნამენტული მოტივების ორიგინალობაში, მრავალფეროვნებასა და კვეთის დეტალების სკულპტურული დამუშავების სიფაქიზეში.

უკანასკნელ ტაბულებზე წარმოდგენილია XIV საუკუნით დათარიღებული ძეგლის — დაბის — ორნამენტი (რომელიც ცხადყოფს ცვლილებებს ორნამენტული მოტივების წყობასა და ხასიათში, რაც ნაწილობრივ უკვე მჟღავნებოდა XIII ს. პირველი სამი ათწლეულის ძეგლის — ახტალის ორნამენტშიც) და აგრეთვე — გვიანი ფეოდალური ხანის ჩუქურთმები სამწევრისა და დავით-გარეჯაში.

როცა ჩვენ განვიხილავთ ქართული არქიტექტურული ორნამენტის მიერ განვლილ გზას იმ ცხრა საუკუნის მანძილზე, რომლითაც იფარგლება ძირითადად წინამდებარე ალბომის მასალა, ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა, შევეჩოთ იმ ადგილს, რომელიც ეთმობოდა ორნამენტს შენობის ფასადსა და ინტერიერში სხვადასხვა დროს. 478—493 წ.წ. ძეგლის — ბოლნისის სიონის — ფასადები მოკლებულია სამკაულებს. კვეთილი შემკულობა თავმოყრილია შენობის შიგნით, კამარების საყრდენი სვეტისთავებისა და კედლის სვეტების კაპიტელებზე. 586—7—604 წლებში აგებულ ბრწყინვალე ნაწარმოებზე — მცხეთის ჯვარის ტაძარზე — ორნამენტით გამოყოფილია და გაცხოველებულია მხოლოდ საკურთხეველის აფსიდის სამი სარკმლის გამაერთიანებელი თავსართი; ასევე თავშეკავებით არის გამოყენებული ორნამენტი ს. წრომის ტაძრის ფასადების მკაცრ კომპოზიციაშიც (VII ს-ის 30-იანი წლები). მსუბუქი ჩუქურთმა, რომლითაც შემკულია შესასვლელები, სარკმლების თავსართები და აღმოსავლეთის ფასადზე პირველად გამოყენებული სამკუთხოვანი ნიშები, ხაზს უსვამს არქიტექტურულ ფორმებს და მოხდენილობის ელემენტი შეაქვს ძეგლის მკაცრ სისადაეში. ამრიგად, ქართული ფეოდალური ხუროთმოძღვრების აყვავების პირველი ხანის დამახასიათებელი ნიშანია ზომიერება და სიმკაცრე ფასადთა გაფორმებაში. ორნამენტს არა აქვს თავისთავადი მნიშვნელობა, იგი

ექვემდებარება შენობის არქიტექტურას და გამოყენებულია მხოლოდ არქიტექტურული კომპოზიციის ცალკე ელემენტების ხაზგასმისათვის.

გარდამავალი ხანის ხუროთმოძღვრებაში, ე. ი. VII საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც საქართველოში არაბთა შემოსევამ დაარღვია ქვეყნის ნორმალური ცხოვრება, X საუკუნის დასაწყისამდე, როდესაც საქართველოს ცალკე სამთავროთა ზრდასა და განმტკიცებას და თბილისის საამიროს დასუსტებას მოჰყვა ქვეყნის ახალი კულტურული აყვავება, — ჩუქურთმა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ქრება შენობის ფასადებიდან. IX და X ს. ს. მიჯნისა და X საუკ. პირველი ნახევრის ცალკეული ძეგლები მოწმობენ ახალი ეტაპის დასაწყისს, ხოლო უკვე ამავე X საუკუნის მეორე ნახევარში შემოქმედებითი მოღვაწეობის გაფურჩქვნა მრავალი ძეგლის მაგალითზე გვიჩვენებს ხელახლა შექმნილი ორნამენტული მოტივების მრავალფეროვნებას. შენობის ფასადებსა და ინტერიერში ორნამენტის გამოყენების საკითხში შესამჩნევია ერთგვარი ცვლილებები. გარდა იმისა, რომ ორნამენტი გამოყენებულია სარკმლების დეკორატიულ თავსართებში, ჩნდება ამ ხანამდე უცნობი ისეთი მოტივი, როგორიცაა ფართო ორნამენტული ზოლით მოჩარჩოება მრგვალი ღიაღისა (ხეითში) ან დისკოსი, რომელიც ჯვარისებრი ფიგურის ცენტრს შეადგენს. აქედან პირდაპირი გზაა ფასადის დეკორატიულ კომპოზიციაში სარკმლის მოჩარჩოებისაკენ კვეთილი ორნამენტის ზოლით, რომელიც გვხვდება ოშკისა (958—961 წ. წ.) და კუმურდოს (964 წ.) ტაძრების ფასადების დეკორში და ამ დროიდან ფართოდ და საყოველთაოდ ვრცელდება. მისწრაფება ჩუქურთმით ფასადის გამდიდრებისაკენ იმაშიც გამოიხატება, რომ ჩნდება შენობის ფასადზე სარკმლის დეკორატიული გამოყოფის კიდევ სხვა ხერხები: მაგალითად, ხმარებაში შემოდის მთლიანად მოჩუქურთმებული, ან კიდეით კიდემდე დეკორატიული კომპოზიციით შევსებული, კვადრატის მსგავსი, დიდი ფილების გამოყენება სარკმლის თავსართად.

ამ ეპოქისათვის დამახასიათებელია აგრეთვე კარის ტიპანის მთლიანად შევსება კვეთილი ორნამენტით (კუმურდოს ტაძრის სამხრეთი ფასადი), რაც შემდეგში ფართოდ ვრცელდება და, ამ მიზნისათვის სიუჟეტური რელიეფების გამოყენებასთან ერთად, გვაძლევს მდიდარ და მრავალგვარ გადაწყვეტათა მაგალითებს (ბეღია, ეხვევი, ნიკორწმინდა, იკვი, პატარა ონი, სავანე და სხვ.). ამავე დროს, ვხედავთ შენობის კედლების დამაგვირგვინებელი ლავგარდანის ორნამენტით შემკობის პირველ ცდას; თანაც ორნამენტის სახე თითოეულ ფასადზე და ფასადის ნაწილზე იცვლება (კუმურდო).

X საუკუნის ხუროთმოძღვარი არა მარტო აფართოებს შენობის ფასადზე ორნამენტული დეკორის გამოყენების სფეროს; მას ორნამენტი ხალისით შეაქვს ინტერიერშიც. კუმურდოში ხუროთმოძღვარი ორნამენტული ზოლით ამკობს გუმბათქვეშა თაღების ურთიერთშეხვედრის ადგილებს, იშხანში ორნამენტული ზოლებით ხაზს უსვამს გუმბათქვეშა საყრდენების მძლავრ, ენერგიულად პროფილირებულ ბაზისთა ცალკეულ ნაწილებს, ხოლო საფარის მონასტრის მიძინების ეკლესიაში, ზემო სკრის, ურთხვის, ფარვანის, გარბანის და სხვ. ეკლესიებში — კედლის სვეტების კაპიტელებს ან კრონშტეინებს.

ჯერ კიდევ X ს-ის მეორე ნახევარში არქიტექტურაში ჩასახულობა ყველა ძირითადმა ტენდენციამ სრულ განვითარებას მიაღწია XI საუკუნის დასაწყისში; ასევე, შენობის ფასადის ჩუქურთმებით უფრო და უფრო მეტად შემკობის მოთხოვნილებაც, თავის მხრივ, ახლა ელინდება მთელი ძალით. ორნამენტი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ემსახურებოდა მხოლოდ არქიტექტურული ფორმების აქცენტირებას, სრულუფლებიანი კომპონენტი ხდება ფასადის მხატვრულ კომპოზიციაში, რომელიც გამდიდრებულია და გართულებული მთელი რიგი დეკორატიული მოტივების შეტანით; ასეთებია: დიდი დეკორატიული ჯვარი საკურთხეველის სარკმლის ზემოთ, დეკორატიული კვადრატები იმავე სარკმლის ქვეშ, მოჩუქურთმებული დის-

კოები და ბრტყელი როზეტები, ცალკეული სიუჟეტური რელიეფები; ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ტაძრების გუმბათის ყელზე ჩნდება ფართო, მოჩუქურთმებული მოჩარჩოება სარკმლებისა, რომელთაც X საუკუნეში ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონდათ საესე-ბით გლუვი ღიადების მკაცრი სახე, რაც მათ ახასიათებდა აღრინდელი ხანის ძეგლებშიც. XI საუკუნის პირველი ნახევრის ზოგიერთ ძეგლზე (ნიკორწმინდა) გუმბათის ყელი, რომელზედაც სარკმლების ორნამენტური საპირეები მხოლოდ დეკორატიული თაღედის სვეტთა კონებით გამოიყოფა ერთმანეთისაგან, ფართო, მთლიანად მოჩუქურთმებული სარტყლის სახეს იღებს.

ამდრინდელი ორნამენტი ცალკე შემთხვევებში საგრძნობლად უფრო მჭიდროა, რა-პორტის ნახატი უფრო გართულებულია და დეტალებით გამდიდრებული, მაგრამ იგი არ კარგავს იმ მაღალ თვისებებს, რომლებიც ახასიათებდა მის შესრულებას X საუკუნის ხუროთ-მოძღვრების ძეგლებში. მაყურებელს იზიდავს ორნამენტის დეტალების, განსაკუთრებით მცენარეული ელემენტების, დამუშავების ფაქიზი პლასტიკურობა.

აღნიშნული თვისებები — ორნამენტის დეტალების მოდელირების განსაკუთრებული პლასტიკური ხერხები, მისწრაფება ორნამენტული სქემის გაცხოველებისადმი მისი დეტალების დაუსრულებელი სახეცვლით, — დროთა განმავლობაში ადგილს უთმობს სხვა თვისებებს: ამიერ-რიდან ჩნდება მოთხოვნილება, რომ ნაწარმოები ცხოველხატულ მთელს შეადგენდეს, ორნამენტი მხოლოდ საერთო შთაბეჭდილებას უნდა ემსახურებოდეს და ამის გამო იგი აღარ საჭიროებს ცალკეულ ნაწილთა ინდივიდუალიზაციას.

XII—XIII ს. ს. ხუროთმოძღვრება ხსნის ფასადის კომპოზიციიდან დეკორატიულ არკატურას, რომელიც X—XI ს. ს. ფასადის დანაწევრების საფუძველს შეადგენდა და ქმნის ფასადებს, რომელთა დეკორატიული გაფორმება აგებულია დაპირისპირებასა და კონტრასტზე: კედლების გლუვი სიბრტყე უპირისპირდება ფართო, ორმაგ სარკმელთა მოჩუქურთმებული საპირეების, სარკმლებს შორის და საკურთხევის სარკმლის ზემოთ მოთავსებული უზარმაზარი ჯვრების, მოჩუქურთმებული დისკოების, ჯგუფებად განლაგებული ჩუქურთმიანი ბურთულე-ბისა და სხვათა ცხოველხატულ დეკორატიულ ლაქებს. ნაცვლად რაპორტის რიტმული გან-მეორებით აგებული მკაფიო ორნამენტისა, რომელსაც თვალი ძალდაუტანებლად აღიქვამს ცალკეული ელემენტების მონახაზში, წამოყენებულია ახალი თვისებები. ორნამენტი ხშირად მჭიდროვდება, ფონი მინიმუმამდეა დაყვანილი, ე. ი. თუ უწინ იგი ორნამენტის საფუძველს შეადგენდა და საესეებით მკვეთრად იყო მასში გამოვლენილი, ახლა ფონი ორნამენტის ქვეშ იფარება და მხოლოდ აქა-იქ გამოსკვივის უმნიშვნელო, ჩრდილით მოხაზული ჩაღრმავებების სახით. წნულის მრავალგვარი სახე, როგორც წმინდა გეომეტრიული, ლენტისებრი, ისე წნული, აყლორტილი ან შეესებული მცენარეული ელემენტებით, ახლა უკვე ფართო გამოყენებას პოულობს, რადგანაც შეეფერება იმ დროისთვის დამახასიათებელ მიდრეკილებას ხშირი, ხალიჩისებრი სახეებისადმი, რომელშიც მუქად ციმციმებენ ჩაღრმავებები. ორნამენტის ნახატი დეტალებით კი არ გვიზიდავს, არამედ იგი აღიქმის ერთიანად, მთლიანობაში. ახალ მოთხოვ-ნილებას მოსდევს არქიტექტურული ორნამენტის ხასიათის შეცვლა. XII საუკუნის დამლევის (იკორთა) და XIII საუკუნის პირველი ნახევრის (ქვათახევი, ფიტარეთი) ჩუქურთმის საუკე-თესო ნიმუშებიც კი, რომლებიც აღბეჭდილია ფასადების დეკორატიული სამკაულის კვეთის მაღალი ოსტატობით, უმეტეს წილად გაცილებით ჩამორჩება პლასტიკური გადმოცემის იმ ხერხებს, რომლებიც დამახასიათებელია XI საუკუნის ძეგლების რთული ორნამენტებისათვის, სადაც დეტალების შესრულების ტექნიკა ზოგჯერ ოქრომჭედლოვ ხერხებს უახლოვდება (სამთავისი). თუ XI საუკუნის ძეგლებში ორნამენტი, ჩვეულებრივად, სწორ სიბრტყეს ფარავს და ამოზნექით პროფილირებული ზედაპირის გამოყენება შედარებით იშვიათია, XII საუკუნი-დან ეს უკანასკნელი ხერხი უფრო ფართო გავრცელებას პოულობს, XIII საუკუნეში კი საყო-


ველთაოდ არის მიღებული. ორნამენტის მოთავსება კარ-სარკმელთა მოჩარჩოებისა და ფასადის სხვადასხვა დეკორატიული ელემენტის ამოზურცულ ზედაპირზე ორნამენტულ კვეთას ამდიდრებს შუქჩრდილის ნიუანსებით (თუმცა ბრტყელი პროფილირებაც არ გამოდის ხმარებიდან).

XIII საუკუნის დამლევს (მეტეხი თბილისში) და XIV საუკუნის პირველი ნახევრის (დაბა ბორჯომის რაიონში) არქიტექტურის ცალკე ნიმუშები მოწმობენ, რომ იმ დროს ორნამენტის მოხაზულობაში თავს იჩენს აღრევა, კვეთა მოდუნებულია და მოშვებული, ორნამენტის მცენარეული ელემენტების მოდელირება ჰკარგავს უწინდელ მეტყველებას და უახლოვდება ხელოსნურ შაბლონს. ამ ხანის არქიტექტურული ორნამენტის რეპერტუარში აქაიკ გვხვდება მოტივები, რომლებიც ე. წ. სელჯუკურ არქიტექტურაში მიღებული ორნამენტის პირდაპირს, ან ნაწილობრივად სახეცვლილ, გამეორებას წარმოადგენს.

ფასადზე ორნამენტის როლის გააზრებაში მომხდარ ცვლილებებს თან სდევს ცვლილებები ორნამენტული კვეთის შესრულების ტექნიკაში.

აღრინდელი ხანის ძეგლების ორნამენტებში (ბოლნისი, მცხეთის ჯვარი, წრომი), სადაც წნულს არა აქვს უპირატესი მნიშვნელობა, ღეროს გადმოცემა ლენტის, რომელიც თავისი ნახატი ორნამენტის ფუძეს გამოსახავს, ჩვეულებრივად გლუვია. ღეროს მიმყოფი ფოთოლი მრავალფოთიანია და თითოეული მისი ფოთი კოვჩისებრ იკვეთება, ე. ი. ფორმდება ორი ურთიერთმიმართული, სიღრმისაკენ დახრილი სიბრტყით; გარე კიდისკენ ფოთი მომრგვალებულია. ფოთლის ამგვარ გადმოცემასთან ერთად, იხმარება აგრეთვე თითოეული ფოთის სამწახნაგოვანი ამოფუღრული კვეთა, ან მთელი ფოთლის გამოყვანა ამ ტექნიკური ხერხით. ქვაზე გამოსახულების გამოყვანისათვის ჩაჭრილი ხაზისა და შტრიხის გამოყენებასთან ერთად, რაც თავისი ბუნებით გრაფიკულ ხერხს წარმოადგენს, ამ ხანაში ქვაზე კვეთის საქმეში შესამჩნევ გამოყენებას პოულობს სამწახნაგოვანი ამოფუღრული კვეთის ტექნიკა, რომელსაც ხალხური ხელოვნება ფართოდ იყენებდა სხვა მასალაზე, სახელდობრ ხეზე.


კუმურდოს ორნამენტის მოყვანილი ნიმუშები წარმოადგენს გვაძლევენ მათი სიბრტყითი, გრაფიკული ბუნების შესახებ; ამ ორნამენტებს პლასტიკურობისა და რელიეფურობის პრეტენზია არა აქვთ. კუმურდოს ორნამენტში ორი სიბრტყის, ე. ი. ფონისა და ორნამენტის ზედაპირის, არსებობა, ზოგ შემთხვევაში, შესამჩნევი ხდება მხოლოდ საგანგებო დაკვირვების დროს. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ორნამენტი ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნის, თითქოს ფიქრისგან არის გამოჭრილი და შემდეგაა ფონზე დადებული; ამ ხასიათს ინარჩუნებს ხუროთმოძღვრების ცალკეული ძეგლების ორნამენტის (ს. ზემოსკრის ეკლესია) და მას ეხვედებით X საუკუნის უკანასკნელ მესამედშიც (შეპიაკი).

ორნამენტული წნულისთვის, როგორც კუმურდოს ჩუქურთმებში, ისე X საუკუნის სხვა ძეგლებშიც, დამახასიათებელია წნულის ლენტის გადმოცემა სრულიად გლუვი, ზოგჯერ საგრძნობლად ფართო ზოლის სახით, ან მცირე სიღრმის ორფერდა ღარით ორად დანაწევრებული ზოლის სახით.  შემდეგ ხანაში მიღებული ტექნიკური ხერხები ლენტის დანაწევრებისა, რომელიც თავისი ხვეულებითა და ხლართებით ორნამენტის ფუძეს ჰქმნის, არ გვხვდება არც კუმურდოში, არც ალბომში წარმოდგენილ სხვა ძეგლებში (ზემო-სკრა, შეპიაკი).

XI საუკუნე, მისთვის დამახასიათებელი პლასტიკური აღქმის მაღალი დონითა და ცხოველხატულობის შთაბეჭდილებისადმი მიდრეკილებით, უპირატესობას ანიჭებს იმ ტექნიკურ ხერხებს, რომლებიც აძლიერებენ ორნამენტის სკულპტურულ მეტყველებას. მაგრამ, მიუხედავად იმ ცხოველხატულობისა, რომელსაც ჰქმნის მცენარეული ელემენტების ცოცხლად გაბნეული ხვეულები და სახის სიმჭიდროვე, სადაც არც მოცემულია არა როგორც მტკიცე

ფუძე, არამედ როგორც ღრმულები კულულოვან ფოთლების ხვეულებში, ხცისის (1002 წ.) დასავლეთი სარკმლის ორნამენტი გამოძერწილია მტკიცე და ნაზი ხელით და ზუსტად არის მოხაზული. გრაფიკული ოსტატობა, რომელიც ქვაზე კვეთამ უწინდელი ხანიდან შეინარჩუნა, ერწყმის წინა საუკუნეში გამომუშავებულ და ჩამოყალიბებულ თვისებას: პლასტიკური ფორმის გრძნობას.

აღბოში წარმოდგენილი XI საუკუნის არქიტექტურული ძეგლების არაჩვეულებრივად მდიდარი ორნამენტული რეპერტუარის ნიმუშები გვიჩვენებენ როგორც ლენტის, — თითოეული ორნამენტული სქემის ძირითადი ელემენტის, ისე ორნამენტის სახეში შემავალი ფოთლის გადმოცემის ხერხთა მრავალფეროვნებას.

იმ ხერხებთან ერთად, რომლებიც მიღებული იყო X საუკუნის კვეთაში, ხმარებაში შემოდის ჩუქურთმის მომხაზველი ლენტის დანაწევრება ორი ღარით:  ამ ხერხს, რომელიც მალე სავსებით ჩვეულებრივი და უაღრესად გავრცელებული გახდა, ეხედავთ XI საუკუნის მდიდარი დეკორატიული გაფორმებით შესანიშნავ ძეგლთა ჩუქურთმაზე: ქუთაისის ბაგრატის ტაძარში, მანგლისის, კაცხის, იკვის, სამთავისის, მცხეთისა და სხვ. ტაძრებში.

ამავე დროს ეხედებით წნული ლენტის, ან მცენარეულ ხვეულთა მოძრაობის მთავარი ნიშნები ლენტის დანაწევრებას სამი ღარით (ტექნიკური ხერხი, რომელიც გავრცელდა კანკელების ჩუქურთმებში), და აგრეთვე გართულებულ პროფილს (სამთავისი), რომელიც ხმარებაში იყო შემდეგშიც, სახელდობრ XII საუკუნის დამლევისა და XIII საუკუნის პირველი მეოთხედის გუმბათოვანი ტაძრების დეკორში (ქვათახევი, ფიტარეთი და სხვ.). ეს გამოწვეულია ამ ხერხისთვის დამახასიათებელი ცხოველხატულობის მონაცემებით: ჩრდილისა და შუქის რბილი ნიუანსებით ამოხსნილი პროფილის ზედაპირზე, რომელიც ღრმა ჩრდილით გამოიყოფა მისი კიდეებისაგან.

ორნამენტის ფოთლოვანი ნაწილის დამუშავებაშიც, წინათ არსებული ხერხების განმეორებასთან ერთად, აღინიშნება კვეთის ტექნიკური ხერხების შესამჩნევი გართულება და გამდიდრება. სამთავისის აღმოსავლეთი ფასადის სარკმლის ორნამენტში, ისევე როგორც ნიკორწმინდის ორნამენტში, ოსტატი თითოეულ ფოსოს ჩვეულებრივი ხერხით კვეთს ორ ფერდად და ფოთლის ფოსოს მომრგვალებულ ბოლოს გამოყოფს დანარჩენი ნაწილისაგან ერთგვარი ვიწრო ზოლით, რომელიც ზოგჯერ მომრგვალებულ ფორმას იღებს და მრგვალი ნაჩრეტებით იჩითება ფოთლის ერთი ფოსოს მეორესთან შეხების ადგილში. ამ ხერხის ეფექტურობა უზრუნველყოფს მის გამოყენებას XI საუკუნის შემდეგაც — XII და XIII საუკუნეებში.

XI საუკუნისათვის დამახასიათებელი გრძნობა ფაქიზად გამოძერწილი ფორმის მიმზიდველობისა, ორნამენტის ზედაპირზე შუქის კრთომის ძალის დაფასება, ჩრდილის ღრმა სიმუქით აღნიშნული ფაქიზი და ზუსტი ხაზის გამახვილებული შეგრძნობა იწვევს ორნამენტული ფოთლის გაფორმების რთული და მრავალფეროვანი ხერხების გამომუშავებას. ფოთლის ცალკე ფოსოების ნახატი რთულდება, მისი ზედაპირის მოდელირება კი წარმოებს მომცრო, მოხდენილი ბოლოშემოკეცილი ფოთლის სახით. ასეთი ფოთოლი განსაკუთრებით დამახასიათებელია როგორც კანკელების ჩუქურთმებისათვის ინტერიერში, ისევე ჩუქურთმებისათვის, რომლებიც ამკობენ XI საუკუნის ხუროთმოძღვრების ისეთი პირველხარისხოვანი ძეგლების ფასადებს, როგორიცაა ნიკორწმინდა, სამთავისი, სვეტიცხოველი, და XII საუკუნის პირველ ნახევარში აგებულ ძეგლებს — გელათის მონასტრის მთავარ ტაძარსა და საორბისის ეკლესიას.

XII ს. მეორე ნახევრისა და XIII საუკუნის ჩუქურთმაში ფოთლოვანი მოტივის ამგვარი გადაწყვეტა ადგილს უთმობს უფრო მარტივ ხერხებს: ფოთლის თითოეულ ფოსოში შემოხსენებული წვრილი რელიეფური ზოლის შეყვანას, ფოთლის თითოეული ფოსოს მომრგვალებულ ბოლოსთან წესიერი ფორმის ბურთულის მოთავსებასა და სხვ. XII ს. დამლევისა და XIII

საუკუნის არქიტექტურული ორნამენტის ცალკე მოტივების შესრულების დონე არ ჩამორჩება XI საუკუნის ოსტატობას, მაგრამ აქ აღარაა ის მრავალფეროვნება, რომელიც ახასიათებდა XI ს. ჩუქურთმას. მოთხოვნილება, რომ ორნამენტი სტოვებდეს განზოგადებულ შთაბეჭდილებას, რაც შენობის ფასადის გადაწყვეტაში მომხდარ არსებით ცვლილებებთან იყო დაკავშირებული, გასაგებს ხდის მიდრეკილებას მოდელირების გამარტივებისადმი, რომელსაც ადგილი აქვს ფასადების ჩუქურთმაში.

XIII ს. მეორე ნახევრისა და XIV ს. დასაწყისის ძეგლებში (საფარა, ზარზმა) და, შემდეგ, XIV საუკუნის ძეგლში (დაბა) ჩნდება და ფართოდ ვრცელდება ჩუქურთმების შესრულების ახალი ხერხი: ჩუქურთმის ზედაპირი კედლის სიბრტყის მიმართ ამოზიდული კი არ არის, არამედ კედლის სიბრტყის დონეს არ სცილდება; ჩუქურთმის არე ჩაღრმავებულია კედლის ზედაპირის მიმართ.

ორნამენტის შესრულებაში გაბატონებულია წინა ხანის ორნამენტულ კვეთაში ცნობილი უმარტივესი ტექნიკური ხერხები. მცენარეული ორნამენტის ღეროს აღმნიშვნელი ან წნულის ფუძის შემადგენელი ლენტი უპირატესად ორი გრძივი ღარითაა დანაწევრებული (ყველაზე მეტად ეს ხერხია გავრცელებული). იხმარება აგრეთვე ორფერდა კვეთა (საფარა, ზარზმა, მღვიმე, მეტეხის ეკლესია ქ. თბილისში, დაბა). ორნამენტის ფოთლოვანი ელემენტების კვეთაც უფრო მარტივ ტექნიკურ ხერხებს უბრუნდება და სტანდარტული ხდება.

ქართველი ოსტატებისათვის დამახასიათებელი ფერების შეგრძნება, რომელიც ნათლად ჩანს ქართული ხელოვნების ყველა დარგში, მათ შორის ხუროთმოძღვრებაშიც, მუდამ აგრეთვე შენობათა ფასადების ორნამენტული კვეთის სფეროშიც. მხოლოდ კედლებისა და შენობის სხვა ნაწილთა ზედაპირის ფაქიზი, მონოტონურობას მოკლებული, ფერადოვნება კი არ ანიჭებს ნაგებობას მოფიქრებულ და ფერის მხრივ კომპოზიციურად დასრულებული ნაწარმოების ხასიათს. საქართველოს შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ფერადი ლაქის შექმნაც, რომელიც კონტრასტს ქმნის კედლის ზედაპირის ძირითადი ტონის მიმართ.

კუმურდოს ტაძრის ფასადთა დეკორატიული დანაწევრების ხერხთა განხილვისას გ. ნ. ჩუბინიშვილი აღნიშნავს იმ როლს, რომელიც აღმოსავლეთის ფასადის შემკულობაში განკუთვნილი აქვს ორ სისხლისფერ-წითელ ქვას. ეს დეკორატიული აქცენტი გამოირჩევა ვარდისფერი (ქვიშისფერი და ღია ღვინისფერი გარდამავალი) ქვით მოპირკეთებული კედლის ზედაპირზე. რომ ხუროთმოძღვარს კარგად ჰქონდა შეგნებული დეკორატიული მეტყველება, რომელსაც ქმნის მომცრო ფერადი ქვების ჩასმა ფასადის წყობაში, ამას ამჟღავნებს აგრეთვე ალბომში წარმოდგენილი XI საუკუნის ძეგლებიც: ვერეში (ატენის ხეობაში, ქ. გორის მახლობლად) სოსანი-ღვინისფერი ფილა ჩასმულია აღმოსავლეთის სარკმლის ზემოთ, სოსანი-მიხაკისფერი ფილებით აპრელებულ წყობაში; სამთავროს (მცხეთა) მდიდრულად მოჩუქურთმებული დისკოები შესრულებულია ნაზი მოყვითალო, სპილოს ძვალივით ღია ფერის ციკსა და მკვეთრ მწვანე ფერთან შეხამებით, რაც ძვირფასი იუველირული სამკაულის შთაბეჭდილებას ჰქმნის; იქვე, მცხეთაში, სვეტიცხოველის ტაძრის საკურთხეველის სარკმლის მოჩარჩოება, რომელსაც ცენტრალური ადგილი უჭირავს ღია, მოყვითალო და მკრთალი მწვანე ფილებით მოპირკეთებულ ფასადზე, შესრულებულია ღია ღვინისფერი-წითელი ქვის მოოქროსფერო-ყვითელთან შეხამებით; სამთავისის საკრებულო ტაძრის საკურთხეველის აფსიდის შუა სარკმლის ქვემოთ მოთავსებულ დეკორატიულ კვადრატებში გარე ორნამენტული ზოლი შესრულებულია ყვითელ ქვიშისფერი ტონის ქვაზე, ძლიერ ამოზიდული კვეთილი კაპი კი მოცემულია, როგორც მკვეთრი მწვანე ლაქა კვადრატის შემავსებელ კარგად გაკრიალებულ წითელი ქვის არეზე.

ხუროთმოძღვრის მისწრაფება კალორისტული ეფექტისადმი არა ნაკლებ მკაფიოდ მდგომარეობდა აგრეთვე XII საუკუნის დამლევსა და XIII ს. პირველი ნახევრის ძეგლებშიც. ამ ხანის ხუროთმოძღვრება არ უარყოფს ფასადის გაცხოველებას კედლის წყობაში ლამაზად შეფერადებული და მოჩუქურთმებული ფილის ოსტატურად გააზრებული ჩართვით (მაგალითად: იკორთის თბილ მოკპროსფერო-ყვითელ ტონებში შესრულებულ აღმოსავლეთ ფასადზე მწვანე ჯვარი და ამავე ფერის კოპები) და ცალკე შემთხვევებში გვიძლევს მთელი ფასადების უფრო თამამ გადაწყვეტას: კედელი, როგორც ფონი, თავისი ფერით უპირისპირდება კარსარკმლების დეკორატიული დეტალებისა და ლავგარდანების ფერს. ფიტარეთში, გიორგი ლაშას (1213—1222) მეფობის დროინდელ ძეგლში, ფასადების განსაკუთრებით საზეიმო ხასიათსა და მდიდრულ შთაბეჭდილებას მცირედ როდი უწყობს ხელს ის, რომ ოსტატურად არის მონახული კედლების ინტენსიური მოიისფერო-ვარდისფერის შეხამება სარკმელთა მოჩუქურთმებული საპირეების ღია ფერთან და მიხაკისფერი, მკვეთრი მწვანე და ყვითელი ქვებისაგან შედგენილ ჩუქურთმიან ლავგარდანთან. ამავე დროს, თავს იჩენს მისწრაფება ნაგებობის კედლების ფერადოვნებაში ფერადი ქვების ჭადრაკული მონაცვლეობისადმი, ან მათი ერთი ფასადიდან მეორეში გარდამავალ ზოლებად დაწყობისადმი. ხმარებაშია აგრეთვე ცალკეული მუქი ფერის ფილების ჩასმა. გუდარეხის მონასტრის სამრეკლოზე და მცირე ეკლესიაზე (XIII ს. მეორე ნახევარი), მესხეთის ტაძრებზე — საფარასა და ზარზმაში (XIII ს. დამლევით), ქულეში (XIV ს. პირველი ნახევარი) ეს ეფექტი მოფიქრებული და ხალისით განმეორებული დეკორატიული ხერხის ხასიათს ატარებს.

იმავე დროს, ქართული ხუროთმოძღვრება უზრუნდება შენობის დეკორის ფერადოვანი მეტყველების ზრდის მეორე ხერხს, სახელდობრ, შენობის ფასადის შემამკობელი ორნამენტის, ან რელიეფის ცალკეული ელემენტების შეღებვას. უკვე რკონის მონასტრის ბაზილიკაში (VII ს.), აღმოსავლეთ ფასადის ნიშების სიღრმეში, აგურისფერი-წითელი საღებავით მოცემულია სხივები, რომლებიც რადიალურად იშლება კონქის ფუძესთან მდებარე ცენტრიდან. ამგვარი სამკაული ნახმარია ოშკში (დასავლეთი ფასადი), ხახულში კი (XI ს.) იგი წარმოადგენს ერთ-ერთ დამახასიათებელ დეკორატიულ ხერხს, რომელიც იხმარება ფასადების შემკობისათვის.

საღებავი, ჩვეულებრივ აგურისფერი-წითელი, რომელიც ორნამენტულ დეკორში იხმარება იმ მიზნით, რომ ხაზი გაესვას ჩუქურთმის ნახატს მთლიანად (ამ შემთხვევაში საღებავით იფარება ორნამენტის ფონი), ან ჩუქურთმის ცალკე ელემენტების გამოსაყოფად, ხშირად გვხვდება XI ს. ძეგლების ორნამენტულ კვეთაში. ნიკორწმინდის ტაძრის ორნამენტულ კვეთაში, მაგალითად, ორნამენტის ფონის შეფერადება წითელი, ნარინჯის ელფერიანი, საღებავით, ნათლად გამოირჩევა მრავალ ადგილას: გუმბათის ყელის სარკმლების ქვემოთ გატარებულ სარტყლის ორნამენტში, ლავგარდანებში, ჩრდილოეთი შესასვლელის საპირეში და მისი ტიმპანის რელიეფზე. ივეს ტაძრის სამხრეთი შესასვლელის ორნამენტულ კვეთაში საღებავი ხაზს უსვამს კოვზისებრი ჩუქურთმის კვეთის სიღრმეს, იგი გამოსკვივის ფოთლების ფოსოებში და საესვებით ნათლად გამოირჩევა ფასადის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის ორნამენტის ფოთლებსა და ფოლაქებზე.

ორნამენტული კვეთის ხაზგასმა საღებავით ყურადღებას იპყრობს XIII ს. დამლევსა და XIV საუკუნის ცალკეულ ძეგლებში. ასე, მაგალითად: წმ. საბას ტაძრის დასავლეთ კარიბჭეზე საფარის მონასტერში ფართოდ არის გამოყენებული ფასადების დაფერვა წითელი საღებავით, ქულეს მთლიანად დანგრეულ სამრეკლოზე კი ამავე მიზნით გამოყენებული ყოფილა წითელი, თეთრი, ლურჯი და მწვანე საღებავები, რაც, მკვლევარის სიტყვით, მინანქრის შთაბეჭდილებას ქმნიდა.

ქართული არქიტექტურული ორნამენტის მიმოხილვა, თუნდაც მხოლოდ იმ მაგალითებზე დაყრდნობით, რომლებიც ქვაზე კვეთილი ორნამენტიკის ჩვენს ხელთ არსებული რეპერტუარის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს, ცხადყოფს იმ დიდ ყურადღებას, რომელიც ექცეოდა ხელოვნების ამ დარგს. შენობის ფასადის კომპოზიციაში და მის ინტერიერში ორნამენტის გამოყენების ხერხების ცოდნას, კვეთის იმ ტექნიკური ხერხების ცოდნას, რომლებიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ ორნამენტით შექმნილ, სავსებით განსხვავებულ, მხედველობითს შთაბეჭდილებას, აგრეთვე ორნამენტის სახისა და ძერწვის ხაზგასმის მიზნით ფერწერის ხერხის გამოყენების ცოდნას უექველად შეუძლია სარგებლობა მოუტანოს ჩვენი ეპოქის ხუროთმოძღვარს, რომელიც მოწოდებულია განახორციელოს საბჭოთა არქიტექტურის მიერ მის წინაშე წამოჭრილი გრანდიოზული ამოცანები.

რენე შმერლინგი

ПРЕДИСЛОВИЕ

На пути к разрешению проблемы создания национальной по форме и социалистической по содержанию архитектуры, обычно обращаются к богатейшему наследию архитектурного орнамента, который украшает многочисленные памятники народного зодчества.

Нет сомнения, что ознакомление широкой архитектурной общественности со всем многообразным богатством, с замечательными сокровищами грузинской орнаментальной резьбы по камню обогатит палитру архитектора, расширит круг его творческих исканий. С этой целью Управление по делам архитектуры при Совете Министров Грузинской ССР подготовило серию увражей по грузинской орнаментике.

Первый выпуск подготовлен к изданию Отделом художественной промышленности Управления. Текст написан и графический материал исполнен кандидатом искусствоведческих наук, научным сотрудником Института Истории грузинского искусства Академии Наук Грузинской ССР, Р. Шмерлинг. Выпуск содержит семьдесят таблиц резного по камню орнамента (из них девять с фотоснимками с натуры). Выбор орнаментов сделан с целью показать в первом выпуске сложный многовековой путь развития грузинского орнаментального искусства, показать наиболее разнообразные мотивы от самых простых до сложных композиций.

Мотивы орнаментов расположены в хронологическом порядке.

Конечно, издание настоящего альбома вовсе не имеет целью дать архитектору готовые образцы орнаментального убранства, которые можно было бы механически переносить из альбома в натуру. Знакомство с широким диапазоном мастерства зодчих древней Грузии должно лишь способствовать созданию современной орнаментики, призванной украсить прекрасные здания социалистической Грузии.

Надеемся, что альбом будет полезен и работникам других отраслей грузинского изобразительного искусства, а также не будет лишен научного интереса.

А. КУРДИАНИ

Действительный Член Академии Архитектуры СССР

Требование, поставленное в наши дни произведению искусства—быть социалистическим по содержанию, национальным по форме—обуславливает всестороннее и углубленное знакомство художника с творческим наследием прошлого.

Для правильного использования грузинской архитектурной орнаментики необходимо, с одной стороны, знать способы применения резного орнамента на фасадах или в интерьере здания,—иметь представление о разных, соответственно отдельным хронологическим этапам, способах сочетания орнамента с массами здания, с другой—уметь свободно ориентироваться в богатом многообразии схем и рисунков орнамента.

Резной орнамент, призванный украсить фасад здания, подчеркнуть членения или, наоборот, выпуклее обрисовать единство плоскости стены, с древнейших времен являлся в грузинском зодчестве существенным элементом художественной концепции здания и разрабатывался на протяжении многих веков, не утратив и в наше время значение действенного элемента художественного воздействия на зрителя. Не теряет своего значения в наши дни также и применение орнамента в интерьере здания, получившее в отдельные исторические эпохи значение выразительного художественного приема.

